პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი | № 288 (13373) | საქართველო, 7 დეკემბერი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.



• მოსკოვი. წითელი მოედანი.

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1965 წლის 6 დეკემბერს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა და განიხილა მოხსენებანი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ნ. პ. ბაიბაკოვისა „სსრ კავშირის 1966 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესახებ“ და სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის ამხ. ვ. თ. გარბუზოვისა „სსრ კავშირის 1966 წლის ბიუჯეტის შესახებ“.

კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: ვ. პ. მჟავანაძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ს. ტოლსტიკოვი — სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ა. პ. ლიაშკო — უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ბ. პ. ბეშჩევი — სსრ კავშირის გზათა მინისტრი, ტ. უსუბალიევი — ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ა. ი. სტრუევი — სსრ კავშირის ვაჭრობის მინისტრი, ვ. ი. კონოტოპი — სკკპ მოსკოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ბ. ოვეზოვი — თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ა. ი. შიბაევი — სკკპ სარატოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

აღნიშნული საკითხების განხილვის ბოლოს სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა.

პლენუმმა განიხილა საკითხი პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების სახალხო კონტროლის ორგანოებად გარდაქმნის შესახებ. ამ საკითხზე საინფორმაციო მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა.

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილებანი.

პლენუმმა ამხ. ვ. ვ. შჩერბიცკი აირჩია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატად.

პლენუმმა ამხ. ი. ვ. კაპიტონოვი აირჩია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად.

ამით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, მიღებული 1965 წლის 6 დეკემბერს

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 წლის გეგმისა და სსრ კავშირის 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

ძირითადად მოწონებულ იქნას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 წლის გეგმისა და სსრ კავშირის 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, მიღებული 1965 წლის 6 დეკემბერს

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების გარდაქმნის შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების დარგში, სოციალისტური ეკონომიკის აღმავლობისათვის, სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის და კონტროლის საქმეში კომუნისტთა და უპარტიოთა ფართო მასების ჩაბმისათვის ბრძოლაში.

იმ მიზნით, რომ მშრომელები ფართოდ ჩაბმულ იქნან შემოწმებისა და კონტროლის საქმეში და ამაღლდეს მათი როლი კონტროლის ორგანოების მუშაობაში, **სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს:** პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოები გარდაიქმნას სახალხო კონტროლის ორგანოებად, რომლებიც უნდა წარმოადგენდნენ პარტიისა და მთავრობის ერთ-ერთ ქმედით საშუალებას იმისათვის, რომ ხალხის მასები კიდევ უფრო ფართოდ ჩაბმულ იქნან სახელმწიფოს საქმეების მართვაში, უზრუნველყოფილ იქნას საბჭოთა, სამეურნეო და სხვა ორგანიზაციების მიერ პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულების სისტემატური შემოწმება, სახელმწიფო დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცება.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ამ დადგენილების შესაბამისად დაამტკიცოს დებულება სახალხო კონტროლის ორგანოების შესახებ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

ამხანაგებო!

ნება მიბოძეთ ჩამოვაყალიბო ჩვენი ოვალსაზრისი კონტროლის არსებული სისტემის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ, რომელიც უაღრესად მჭიდროდ და უშუალოდ არის დაკავშირებული ჩვენს სამეურნეო მშენებლობასთან.

მოგეხსენებათ, რომ სამი წლის წინათ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტისა და ადგილებზე კონტროლის შესაბამისი ორგანოების შექმნის შესახებ.

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების სამი წლის მუშაობის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მათ დიდი მუშაობა გასწიეს და დაეხმარნენ პარტიასა და მთავრობას ჩვენი ეკონომიკის, სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის საქმიანობის გაუმჯობესებაში, საზოგადოების მთელი საქმეების მართვაში მასების ჩაბმაში, კონტროლის საქმეში კომუნისტთა და უპარტიოთა ფართო მასების ჩაბმაში.

ცენტრალური კომიტეტის წევრები იცნობენ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების მუშაობას; და ამიტომ არ მოვიყვან მათი საქმიანობის კონკრეტულ მაგალითებს. რა თქმა უნდა, ამხანაგებო, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მათ მუშაობაში არ იყოს ნაკლოვანებანი.

კონტროლის ჩვენი საბჭოთა სისტემა ყველაზე დემოკრატიული, ნამდვილად სახალხო სისტემაა. ჩვენს სოციალისტურ სახელმწიფოში მთელი უფლებანი, მათ შორის კონტროლის უფლებაც, ეკუთვნის ხალხს, როგორც თავისი ქვეყნის ერთადერთ ბატონ-პატრონს.

მშრომელთა კონტროლი ვრცელდება, უწინარეს ყოვლისა, საფუძველთა საფუძველზე — სამეურნეო ცხოვრებაზე, წარმოებისა და განაწილების სფეროზე. სახელმწიფო აპარატის საქმიანობაზე. ეს ერთ-ერთი უდიდესი უპირატესობაა, რომელსაც სოციალიზმი ანიჭებს მშრომელებს.

საბჭოთა სახელმწიფო საარსებოდ დაინტერესებულია საზოგადოებრივი კონტროლით. რაც უფრო მეტი ადამიანი მიიღებს მონაწილეობას კონტროლში, მაშასადამე, რაც უფრო მეტი მშრომელი ჩაებმება სახელმწიფოს მართვაში, მით უფრო კარგად იმუშავებს ჩვენი სახელმწიფო სისტემა.

ჩვენი კონტროლის ორგანოები, რომლებიც პარტიის ხელმძღვანელობით მუშაობენ, გარკვეული თვალსაზრისით ხომ აღზრდის სკოლასაც წარმოადგენენ. ისინი პრაქტიკულად უნერგავენ საბჭოთა ადამიანებს თავიანთი ქვეყნის ბატონ-პატრონის გრძნობას, მთელი საზოგადოების საქმეებისათვის თვითეული მოქალაქის მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობას.

ითვალისწინებს რა, რომ კონტროლის საზოგადოებრივი როლის გაფართოება ახალი სერიოზული ნაბიჯი იქნება სოციალისტური დემოკრატიის ყოველნაირად განვითარების გზაზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის აზრით, მიზანშეწონილია განხორციელდეს კონტროლის არსებული სისტემის შემდგომი გაუმჯობესება.

საქმე ეხება იმას, რომ კონტროლის პარტიულ-სახელმწიფო სისტემა გადავაქციოთ **სახალხო კონტროლის** სისტემად. ეს გამომდინარეობს ვ. ი. ლენინის მითითებიდან იმის შესახებ, რომ სოციალისტურ სახელმწიფოში კონტროლის სისტემის წინაშე დგას „მიზანი: **მთელ მშრომელ მასას, კაცებსაც და ქალებსაც განსაკუთრებით,** მონაწილეობა მივაღებინოთ მუშურ-გლეხურ ინსპექციაში“.

სკკპ პროგრამა, როგორც ცნობილია, მოითხოვს აგრეთვე შეიქმნას სახალხო კონტროლის სისტემა, რომელშიც საბჭოთა კონტროლი შეერწყმება საზოგადოებრივ ინსპექციებს ადგილებზე.

სწორედ ამასთან დაკავშირებით დგება საკითხი კონტროლის ორგანოების სახელწოდების შესახებ. ახლა კონტროლის ორგანოებს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოები ეწოდებათ. ეს მთლად ზუსტი სახელწოდება არ არის. იგი საკმარისად ვერ ასახავს იმ ფაქტს, რომ ჩვენს ქვეყანაში კონტროლი სახალხოა. ამიტომ უფრო სწორი იქნება ეს ორგანოები გარდაქმნათ და ვუწოდოთ მათ სახალხო კონტროლის ორგანოები.

ამით ნამდვილად ასახული იქნება ჩვენს ქვეყანაში კონტროლის ორგანოების საქმიანობის არსი. ამავე დროს ამას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ექნება, რადგან ეს კიდევ უფრო მჭიდროდ აახლოებს კონტროლის ორგანოებს ხალხთან.

სახალხო კონტროლის ორგანოები მუშაობენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობით. მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო, რაიონულმა კომიტეტებმა ყოველდღიურად უნდა უხელმძღვანელონ სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობას, ყოველი ღონისძიებით დაუჭირონ მხარი მათს ინიციატივას, მიიხიონ ისინი თავიანთ პირდაპირ თანაშემწეებად ჩვენი საერთო საქმისათვის ბრძოლაში.

რაც შეეხება სახალხო კონტროლის ორგანოების უფლებათა და მოვალეობათა წრეს, როგორც ჩანს, სწორი იქნება, თუ მათს საქმიანობაში მთავარი იქნება ის, რომ დაეხმარონ პარტიასა და სახელმწიფოს პარტიისა და მთავრობის დირექტივების ფაქტიური შესრულების სისტემატურ შემოწმებაში, კომუნისტური მშენებლობის ხელმძღვანელობის შემდგომ სრულყოფაში, სოციალისტური ეკონომიკის ყოველი ღონისძიებით აღმავლობისათვის ბრძოლაში, სახელმწიფო დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების დაცვაში. სახალხო კონტროლის ორგანოები აქტიურად უნდა უჭერდნენ მხარს, ეხმარებოდნენ და ავითარებდნენ ყოველივე ახალს, მოწინავესა და პროგრესულს ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში, სპობდნენ გამოვლინებულ ნაკლოვანებებს, იბრძოდნენ იმისათვის, რომ უმჯობესდებოდეს საქმის საერთო მდგომარეობა, შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდნენ ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, საქმის გაჭიანურების, თვალის ახვევისა და უყაირათობის წინააღმდეგ.

თავისთავად იგულისხმება, ამხანაგებო, რომ ჩვენს ქვეყანაში კონტროლის სრულყოფა, სახალხო კონტროლის ორგანოების შექმნა სრულებითაც არ ამცირებს ყველა პარტიული კომიტეტისა და პარტიული ორგანიზაციის პასუხისმგებლობას პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულებისადმი კონტროლისათვის. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის გარემოებაც, რომ სახალხო კონტროლის ორგანოები კონტროლს არ უწევენ პარტიული ორგანოების მუშაობას. ამ მუშაობას კონტროლს უწევს შინაპარტიული კონტროლის სისტემა პარტიის წესდების საფუძველზე. ამიტომ საჭიროა, რომ თავიანთი მუშაობა გააქტიურონ პარტიულმა კომისიებმაც, რომლებიც სკკპ წესდების შესაბამისად მოვალენი არიან ამოწმებდნენ, თუ როგორ იცავენ სკკპ წევრები და წევრობის კანდიდატები პარტიულ დისციპლინას, პასუხისგებაში აძლევდნენ იმ კომუნისტებს, რომლებსაც ბრალი მიუძღვით პარტიის პროგრამისა და წესდების, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის დარღვევაში. აგრეთვე პარტიული მორალის დამრღვევთ.

ზემოხსენებულის საფუძველზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის განსახილველად შემოაქვს ამ საკითხზე დადგენილების პროექტი.

ვლადიმერ ვასილის-ძე შჩერბიცკი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი

დაიბადა 1918 წელს მუშის ოჯახში, უკრაინელი. სკკპ წევრია 1941 წლიდან. აქვს უმაღლესი განათლება — დაამთავრა დნეპროპეტროვსკის ქიმიურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტი.

1934 წელს კომკავშირის რაიკომის ინსტრუქტორია. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობს ქარხნის მთავარი მექანიკოსის მოადგილედ. დიდი სამამულო ომის წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიაში. 1945 წლიდან მუშაობს ინჟინერ-ტექნიკურ თანამდებობებზე დნეპროძერჟინსკში.

1948 წლიდან ხელმძღვანელ პარტიულ სამუშაოზეა დნეპროპეტროვსკის ოლქში: მუშაობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პარტორგად ძერჟინსკის სახელობის მეტალურგიულ ქარხანაში, დნეპროძერჟინსკის საქალაქო კომიტეტის მდივნად. პარტიის დნეპროპეტროვსკის საოლქო კომიტეტის მდივნად. 1957 წლიდან უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანია. 1961 წლიდან უკრაინის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეა. 1963 წლიდან უკრაინის კომპარტიის დნეპროპეტროვსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანია, ხოლო 1965 წლის ოქტომბრიდან კვლავ უკრაინის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეა.

1961-1963 წლებში იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია. დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით.

ივანე ვასილის-ძე კაპიტონოვი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

დაიბადა 1915 წელს გლეხის ოჯახში, რუსი, სკკპ წევრია 1939 წლიდან, აქვს უმაღლესი განათლება — დაამთავრა მოსკოვის კომუნალური შენებლობის ინჟინერთა ინსტიტუტი.

1938 წლიდან უფროსი ინჟინერია, სამშენებლო უბნის უფროსი. 1943 წლიდან პარტიულ და საბჭოთა სამუშაოზეა. მუშაობდა პარტიის რაიკომის განყოფილების გამგედ, რაიკომის მდივნად, ქალაქ მოსკოვის კრასნაია პრესნიას რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტისა და საოლქო კომიტეტის მდივნად. 1959 წლიდან სკკპ ივანოვოს საოლქო კომიტეტის პირველი მდივანია. 1964 წლიდან — სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიუროს წევრია, სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ პარტიული ორგანოების განყოფილების გამგე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია.

დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით.

საკადესის ცნობა

მიფრინავს „ლუნა-8“

4 დეკემბერს 22 საათზე მოსკოვის დროით განხორციელდა ავტომატური სადგურის „ლუნა-8“-ის ფრენის ტრაექტორიის კორექცია.

სადგური მოძრაობს ტრაექტორიით, რომელიც გაანგარიშებულს უახლოვდება და უზრუნველყოფს შეხვედრას მთვარესთან მოცემულ რაიონში.

ასტროორიენტაციის სისტემა და მაკორექტირებელი ძრავის დანადგარი კორექციის სეანსის დროს მუშაობდნენ გაანგარიშებული რეჟიმის შესაბამისად.

სადგურის ყველა სისტემა ნორმალურად მუშაობს.

1965 წლის 5 დეკემბრის დილის 6 საათისათვის მოსკოვის დროით სადგური დაშორდა დედამიწას 260 ათასი კილომეტრით.

სადგური „ლუნა-8“ უახლოვდება მთვარეს

5 დეკემბერს საბჭოთა კოსმოსური სადგურ „ლუნა-8“-თან მოეწყო კავშირის ერი სეანსი, რომლის დროს განხორციელდა ტრაექტორული გაზომვები და მიღებულია ტელემეტრიული ინფორმაცია.

სადგურის ყველა სისტემა ნორმალურად მუშაობს. ტრაექტორულ გაზომვათა შედეგებმა, რომლებიც განხორციელდა კორექციის შემდეგ, დაადასტურეს, რომ ფრენის ტრაექტორია შეესაბამება გაანგარიშებულ მონაცემებს.

სადგური „ლუნა-8“ მთვარის ზედაპირს მიაღწევს ქარიშხალთა ოკეანის რაიონში 1965 წლის 7 დეკემბერს დაახლოებით 0 საათსა და 50 წუთზე მოსკოვის დროით.

საკოორდინაციო გამოთვლითი ცენტრი განაგრძობს მიღებული ინფორმაციის დამუშავებას.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სამხრეთ-ოსეთის მასწავლებელთა პირველი ყრილობის ჩატარებასთან დაკავშირებით, სახალხო განათლების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება:

1. ბესტავეს დიმიტრი გიორგის-ძეს — ზნაურის რაიონის ავნევის საშუალო სკოლის დირექტორს.
2. გალვანოვას ნინო ანდრიას ასულს — სამხრეთ-ოსეთის სახელმწიფო პედინსტიტუტის უფროს მასწავლებელს.
3. კულუმბეგოვს ირაკლი ნიკოლოზის-ძეს — ცხინვალის რაიონის სარაბუკის რვაწლიანი სკოლის დირექტორს.
4. პარასტაევას ევგენია მელიტონის ასულს — ჯავის რაიონის ხვწის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს.
5. ფოფხაძეს იულია ზაქარიას ასულს — ქ. ცხინვალის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

ზ. კვაშაძე

თბილისი,
1965 წლის 6 დეკემბერი.

საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის პლენუმი

ზუგდიდი, 6 დეკემბერი. (საქდესი). გაიმართა საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიონული კომიტეტის მორიგი პლენუმი, რომელმაც განიხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება ზუგდიდის რაიონის ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკის მიერ საკოლმეურნეო დემოკრატიისა და სოციალისტური კანონიერების უხეში დარღვევების შესახებ.

პლენუმის მონაწილეებმა სასტიკად დაგმეს რაიონის ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკის საქციელი, რომლებიც თვითნებობდნენ, სჩადიოდნენ უკანონობას და უხეშად არღვევდნენ საკოლმეურნეო დემოკრატიას, რის გამოც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა მათ ეკავა პარტიული სასჯელი დაადო.

პლენუმმა ერთსულოვნად მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება და დასახა ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ სოციალისტური კანონიერებისა და საკოლმეურნეო დემოკრატიის უზუსტად დაცვას, კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარებას, პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლის შემდგომ ამაღლებას, პარტიულ-პოლიტიკური ნუშაობის გაუჯობესებას.

საკოლმეურნეო დემოკრატიისა და სოციალისტური კანონიერების უხეში დარღვევისათვის პლენუმმა ამხ. ი. ლ. ჩიქავა მოხსნა საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივნის პოსტიდან და გამოიყვანა რაიკომის ბიუროს შემადგენლობიდან.

პარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად პლენუმმა ერთხმად აირჩია ამხ. ბ. ს. კვარაცხელია.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. შ. ი. ჭანუყვაძე.

ნაკლი — კომუნისტთა სამსჯავროზე

პარტიული კონფერენციის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე რუსთავის მეტალურგთა კულტურის სასახლეში მოეწყო საწარმოო გამოფენა. ციფრები და დიაგრამები ასახავენ იმ წარმატებებს, რასაც მიაღწიეს რუსთავის მშრომელებმა შვიდწლედის მანძილზე, უფრო მეტად კი უკანასკნელ ორ წელში. აქვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით ნაჩვენებია ქალაქის მრეწველობის შემდგომი ზრდა-განვითარების პერსპექტივები, გეგმები, ამოცანები.

— დღეს ამ დარბაზში, — განაცხადა საანგარიშო მოხსენების დასაწყისში პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა თ. მენთეშაშვილმა, — შეთავრიბენით პარტიული კონფერენციის დელეგატები, რომ საქმის ცოდნით შეეგებოთ საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობა, კრიტიკული, საქმიანი ანალიზი გავუკეთოთ პარტიულ-პოლიტიკურ და სამეურნეო საქმიანობას და დავსახოთ მომავლის ამოცანები.

საანგარიშო მოხსენებას, აგრეთვე მოკამათეთა გამოსვლებს წითელ ზოლად გასდევდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებზე სჯა-ბაასი.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ საწარმოებში ახლა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს არა მარტო სწავლობენ, არამედ პრაქტიკულადაც ახორციელებენ და ამით მორიგ წარმატებებს უმზადებენ სკკპ XXIII და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობებს.

რუსთავში უკანასკნელ ორ წელიწადში საექსპლოატაციოდ გადაეცა სინთეზური ბოჭკოს ქარხნის პირველი რიგი, რომელიც უშვებს საკორდე მასალასა და თვით კორდს. აშენავდა აგრეთვე ცემენტის ქარხნის მესამე ტექნოლოგიური ხაზი, თაბაშირის მძლავრი ქარხანა, კოლოიდური გოგირდის მოწყობილობა, რეკონსტრუირებულია და გაფართოვდა მეტალურგიული ქარხნის თბოელექტროცენტრალი, აგლომაბრიკა...

კონფერენციაზე მოიყვანეს მაგალითები, რომ საკონტროლო ციფრების გადამეტებით გამოშვებულია ასობით ტონა თუჯი, ფოლადი, ნაგლინი. განსაკუთრებით მაღალ წარმატებას მიაღწია ცემენტის ქარხნის კოლექტივმა, რომელმაც წელს გეგმის გადაჭარბებით გამოუშვა 13.000 ტონა ცემენტი და 400 კუბმეტრი ფიბროლიტი. აღინიშნა აგრეთვე ამწესაშშენებელო, რკინაბეტონის ნაწარმის, სარემონტო-მექანიკური და სხვა ქარხნების კოლექტივების მაღალი შრომითი წარმატებები.

— და ეს წარმატებები, — თქვეს თავიანთ გამოსვლებში მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა: მეტალურგიული ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ლ. ხარბედიამ, ცემენტის ქარხნის დირექტორმა ი. ვიშნიაკოვმა და სხვებმა, — თავისთან როდი მოვიდა. იგი მიღწეულია მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსების, პარტიული ორგანიზაციების ენერგიული შრომით. აქვე ორატორებმა დაასახელეს წარმოების ნოვატორები, რომლებიც სათავეში უდგანან კომუნისტურ შრომას და თავიანთი წვლილი შეაქვთ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში. აი ისინიც: ა. ლომთათაძე, რ. კანდიაშვილი, ი. მეტრეველი, ა. გზირიშვილი, ნ. კავთიაშვილი, მ. ბიძინაშვილი, ა. დევსურაშვილი, ა. აბაიაძე, ნ. მოისეევა, ვ. ჭაჯაია, ნ. ნიკოლაშვილი, მ. ფოცხვერია და სხვები.

ამჟამად ქალაქში 320 კოლექტივი ატარებს კომუნისტური შრომის კოლექტივის სატიტო წოდებას. ამდენივე იბრძვის ამ სახელის მოსაპოვებლად.

როცა წარმატებებზე ლაპარაკობდნენ, მომხსენებელიც და კამათის მონაწილეებიც სათანადო შეფასებას აძლევდნენ იმ ახალს, პროგრესულს, რაც ამ ბოლო წლებში განხორციელდა. ახა როგორ შეიძლება არ ილაპარაკო ისეთ მნიშვნელოვან ტექნიკურ სიახლეებზე, როგორიც არის ბრძმედის № 2 ღუმელის ქშენებში შებერვის ავტომატიზებული განაწილება, კოქსქიმიურ საამქროში ქვანახშირის ცალცალკე დამსხვრევის ახალი ტექნოლოგია, მრავალი დგანის და აგრეგატის რეკონსტრუქცია და სხვ.

კონფერენციაზე უურადღება გაამახვილეს მეცნიერებისა და წარმოების ურთიერთკავშირზე. როგორც ცემენტის ქარხნის დირექტორმა ი. ვიშნიაკოვმა აღნიშნა, „ნოვოროს-გიპროცემენტის“ ინსტიტუტთან ერთად დაამუშავეს წისქვილების ავტომატიზებული მარეგულირებლების მოწყობილობის გეგმა.

ასევე მეცნიერებასთან კავშირში რკინაბეტონის კონსტრუქციების კოლექტივმა წარმატებით გადაჭრა საარმატურო სამუშაოების უდანაკარგოდ წარმოების რთული პრობლემა.

— და, მიუხედავად ამისა, — თქვა შემდეგ მომხსენებელმა, — არასწორი იქნებოდა კრიტიკულად არ შეგვეფასებინა ის ნაკლოვანებანი, რაც ჯერ კიდევ ახასიათებს საწარმოთა ხელმძღვანელების და პირველადი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობას. როგორც მომხსენებელმა, ისე კამათის მონაწილეებმა მკაცრად გააკრიტიკეს ქიმიური კომბინატის, სინთეზური ბოჭკოს ქარხნის, მსხვილპანელიანი ბინათსამშენებლო ქარხნისა და ხისდამამუშავებელი კომბინატის ხელმძღვანელები იმისათვის, რომ ისინი თავს ვერ ართმევენ საწარმოო დავალებათა შესრულებას. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა კაპროლაქტამის ქარხანაში. აქ ადგილი აქვს ავარიებს, უწესივრობას, ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევას, კაპროლაქტამის ქარხანაში წელს ფიქსირებულია ნორმალური ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევის ასობით შემთხვევა.

— ჩვენ გვაწუხებს საწარმოს აწმყოც და მომავალიც. თქვეს თავიანთ გამოსვლებში სინთეზური ბოჭკოს ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ა. მონიამ და ამავე ქარხნის გადამბეჭვა ვ. სმეტანინამ. მათ დააყენეს საკითხი, რომ მშენებლობის დაჩქარებასთან ერთად მეტი უურადღება მიექცეს ტექნოლოგიური პროცესების უკეთ ათვისებას, ქიმიკოსთა კადრების მომზადებას და შრომის დისციპლინის განმტკიცებას.

ცნობილია, რომ მეტალურგიული ქარხანა რესპუბლიკაში ერთ-ერთი მძლავრი საწარმოა. იგი ყოველთვის იყო მოწინავეთა რიგებში, ახალ წამოწყებათა ინიციატორი. მაგრამ უკანასკნელ ხანებში საწარმომ პოზიციები დთმო.

როგორც კონფერენციაზე აღინიშნა, წელს განსაკუთრებით ცუდად იმუშავეს მეფოლადეებმა. ამის მიზეზი იმაში უნდა ვეძებოთ, რომ სუსტია კონტროლი ტექნოლოგიურ რეჟიმზე. წელს მარტენის საამქროში ადგილი ჰქონდა ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევის მრავალ შემთხვევას, მოცდენას, ზოგჯერ ცივ დნობასაც. მოცდენის მხრივ აღინიშნა აგრეთვე აგლოფაბრიკისა და ბრძმედის საამქროს კოლექტივების ცუდი მუშაობა.

მეტალურგები სამართლიანად იქნენ გაკრიტიკებულნი იმისთვისაც, რომ წელს ვერ შეასრულეს დადებული პირობა ქარხნის მომგებიან საწარმოდ გადაქცევის შესახებ.

კონფერენციაზე ისიც ითქვა, რომ ამ ბოლო დროს ქარხანაში საგრძნობი ძვრები მოხდა. კვლავ მოწინავეთა რიგებში ჩადგა მარტენის საამქრო. გაუმჯობესდა თუჯის, ნაგლინისა და სხვა მეტალურგიული პროდუქციის გამოშვება. მეტალურგებმა აღუთქვეს კონფერენციას, რომ წარმატებით დაამთავრებენ მიმდინარე სამეურნეო წელს.

პროდუქციის ხარისხი მუდამ იყო და იქნება საწარმოთა კოლექტივების მუშაობის მთავარი მაჩვენებელი. ამიტომ ამ საკითხზეც ვრცლად იმსჯელეს. წინა წლებთან შედარებით მკვეთრად გაუმჯობესდა როგორც მეტალურგიული, ისე ქიმიური პროდუქციის ხარისხი, მაგრამ აქა-იქ მაინც ვხვდებით უხარისხო პროდუქციის გამოშვების ფაქტებს, რაც საბოლოო ანგარიშით დაღს ასვამს საწარმოთა ფინანსურ მდგომარეობას. უხარისხო პროდუქციის გამოშვებისათვის მკაცრად იქნენ გაკრიტიკებული მეტალურგიული ქარხნის ბრძმედის საამქროსა და კაპროლაქტამის ქარხნის ხელმძღვანელები.

კონფერენციის მონაწილენი არსებულ ნაკლოვანებებს ნაწილობრივ იმითაც ხსნიდნენ, რომ ქარხნები და საწარმოები არადამაკმაყოფილებლად არიან უზრუნველყოფილი კადრებით. რუსთავში მრეწველობა ისე იზრდება, რომ ყოველწლიურად აქ საჭიროა 200-300 ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, ფაქტიურად კი წლის მანძილზე 10-12 სპეციალისტი თუ მოვა სამუშაოდ. — ხომ არ აჯობებს, რომ რუსთავში პოლიტექნიკური ინსტიტუტის ნაღამოს სწავლებასთან ერთად გაიხსნას რამდენიმე დღის სწავლების ჯგუფი? — აყენებდნენ კითხვას კამათის მონაწილენი.

№ 1 სამშენებლო ტრესტმა წელს აითვისა 70 მილიონი მანეთი. ეს მასშტაბი აღნიშნული ტრესტის სიმძლავრეს მოწმობს. მშენებლებმა წარმატებით შეასრულეს მშენებლობის 11 თვის სახელმწიფო დავალება. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მათ დიდი ქიმიის ობიექტებზე. მშენებელთა საქმიანობას ანალიზი გაუკეთა კონფერენციაზე ტრესტის პარტიული კომიტეტის მდივანმა ო. ჭყონიამ. მან ილაპარაკა მშენებელთა შორის პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ახალ ფორმებზე და მეთოდებზე, ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობაზე, კომუნისტების ეკონომიურ სწავლებაზე.

როგორც ო. ჭყონიამ, ისე კამათის სხვა მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს მშენებლობაში არსებულ ნაკლოვანებებს. მშენებლებს სამართლიანად უსაყვედურეს მეტალურგიული ქარხნის ობიექტების, ფოლადსამსმელო ქარხნისა და სხვა საწარმოთა მშენებლობის გაჭიანურებისათვის.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ნ. ებრალიძემ ილაპარაკა ადამიანთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისთვის გაწეულ დიდ ღონისძიებებზე.

წარმოებისა და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მრავალ საინტერესო საკითხზე ილაპარაკეს თავიანთ გამოსვლებში „არუზმეხანოსტროის“ სამმართველოს უფროსმა ა. კიკნაძემ, კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივანმა კ. უამიერაშვილმა და სხვ.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა რ. (). ფრუშიძემ.

კონფერენციამ საქალაქო კომიტეტის მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეაფასა, აირჩია მისი ახალი შემადგენლობა, სარევიზიო კომისია და საქართველოს კპ XXIII ყრილობის დელეგატები.

* * *

გაიმართა ახლადარჩეული პარტიული კომიტეტის პლენუმი, რომელმაც პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია თ. მენთეშაშვილი, მეორე მდივნად — რ. ჯაფარიძე, მდივნად — ო. წვერავა.

ზ. მერკვილაძე,
(„კომუნისტის“ საკ. კორ.).

მხოლოდ საუკეთესო

ქართული მარკის ფეხსაცმელი მსოფლიო სტანდარტების დონეზე

დიდი სიბრძნე, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი შეიცავენ, იმითაც გამოიხატება, რომ მრეწველობის მართვის გაუმჯობესება, დაგეგმვის სრულყოფა და სამრეწველო წარმოების სტიმულირების გაძლიერება გარდუვალად იწვევს მრეწველობაში ჩაბმული მუშების, ინჟინერ-ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების მილიონიანი მასების სისხლხორცეულ დაინტერესებას თავიანთი ნაწარმის ხარისხის საუკეთესო მსოფლიო სტანდარტების დონემდე ამაღლებით.

წინათ, როცა საწარმოს „ზევიდან“ უწესებდნენ გეგმაში საერთო პროდუქციის მოცულობას, ნაწარმის ხარისხის ამაღლებით მასში ასე დაინტერესებული არ იყვნენ. ოღონდ საერთო პროდუქციის მოცულობის დავალება შეესრულებინათ, მეტი ნაწარმი მიეცათ, ხოლო შემდგომში რა ბედი ეწეოდა ამ ნაწარმს, ეს მათი ინტერესების ფარგლებში არ შედიოდა. ახლა კი საწარმოებს უწესდებათ სარეალიზაციო პროდუქციის მოცულობა, საწარმოს ხელმძღვანელები თვითონვე აწესებენ, თუ საგეგმო პერიოდში რა მოცულობის სასაქონლო პროდუქცია უნდა გამოუშვან. მათთვის ცხადია, რომ თუ ეს პროდუქცია მაღალი ხარისხისა არ არის, მისი რეალიზაცია შეფერხდება. მაშასადამე, ხარისხისა და ასორტიმენტის გაუმჯობესებით ახლა საწარმოო კოლექტივის თვითეული წევრია დაინტერესებული.

უნდა ითქვას, რომ ერთ დროს თბილისური მარკის ფეხსაცმელი განთქმული იყო ყველგან. მაგრამ ბოლო წლებში ასე აღარ არის. ფეხსაცმლის თბილისურმა მარკამ სახელი და ღირსება დაკარგა. ბევრი რამ გაკეთდა და კვლავაც კეთდება იმისათვის, რომ ფეხსაცმლის ქართულ მარკას ღირსება დაუბრუნონთ. ამისათვის მოძველებული ფასონის საფეხსაცმლე კალაპოტები შეგცვალეთ ახალი, მოდური კალაპოტებით, შეეუდექით წარმოებაში ასობით ახალი მოდელის დანერგვას, განვახორციელეთ მთელი რიგი სხვა ღონისძიებები. მაგრამ ყოველივე ეს ვერ უზრუნველყოფს საბჭოთა მომხმარებლების გაზრდილ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, იმ დეფიზისთვის ხორცის შესხმას, რომლითაც 1965 წლის დასაწყისში მოსკოვისა და ლენინგრადის მოწინავე საწარმოთა კოლექტივები გამოვიდნენ: უახლოესი 3-4 წლის განმავლობაში მიეაღწიოთ უმნიშვნელოვანესი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში საუკეთესო მსოფლიო სტანდარტების დონეს!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებით ყველა პირობა იქმნება პროდუქციის ხარისხის მკვეთრად ამაღლებისთვისაც. მაგრამ დადგა საკითხი — ჩვენ, ფეხსაცმლის მრეწველობის მუშაკებმა, რა ნიშნების მიხედვით უნდა შეეფასოთ ფეხსაცმლის ფაბრიკების მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხი, რა სპეციფიკური ხასიათის ღონისძიებები უნდა მივიღოთ იმისათვის, რომ ჩვენი ნაწარმი ფეხსაცმელი მართლაც საუკეთესოდ აღიარონ.

ამ საკითხების შესასწავლად და სათანადო ღონისძიებათა შესამუშავებლად საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების ფეხსაცმლის სექციამ შექმნეს სპეციალური კომისია, რომელშიც შედიან როგორც მრეწველობის, ისე საკავშირო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ფეხსაცმლის წარმოების სპეციალისტები. კომისია ფეხსაცმლის ხარისხის შემოწმებას შეუდგა სამი ძირითადი ნიშნის — ფეხსაცმლის სილუეტის, გარეგნული შესახედაობისა და შიგნითა მოპირკეთების მიხედვით. ამ სამი ნიშნიდან თვითეულის შესაბამისად დაწესებულია ბალური შეფასების ფარგლები.

მაგალითად, სილუეტის მიხედვით, თუ ეს სილუეტი სავსებით შეესაბამება მოდიურ ფორმასა და კონსტრუქციას, მაქსიმალური ბალია „12“. ფეხსაცმლის გარეგნული შესახედაობა ფასდება საზედაპირე და საძირე ტყავის ხარისხით, შესაფერისი ფურნიტურის შერჩევით, შეკერვისა და გაწყობის სიფაქიზის მიხედვით. ამ მხრივ უმაღლესი შეფასებაა 20 ბალი. შიგნითა მოპირკეთებისათვის (როგორი სარჩული აქვს ფეხსაცმელს, ხომ არ არის დაშვებული უხეშობა შიგნით გაფორმებაში?) დაწესებულია 8 ბალი.

ამრიგად, თუ გამოშვებულმა ფეხსაცმელმა სამივე ნიშნის ჯამად 40 ბალი დაგროვა, იგი მიჩნეულ იქნება საუკეთესო მსოფლიო სტანდარტის ტოლად. ფეხსაცმელი, რომელიც 32-დან 40-მდე ბალს მიიღებს, ჩაითვლება საუკეთესო ხარისხის ნაკეთობად, ფეხსაცმელი, რომელიც 14-31 ბალს დაგროვებს, ჩაითვლება არა სავსებით საუკეთესო ხარისხის ნაკეთობად, ხოლო თუ ბალების რიცხვმა „13“-ს ვერ გადაამეტა, ასეთი ფეხსაცმელი წარმოებიდან უნდა მოიხსნას.

კომისია უკვე შეუდგა 40-ბალიანი სისტემით ფეხსაცმლის ხარისხის შემოწმებას. მის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად გარდა ძირითადი წევრებისა, მოწვეულნი არიან მთავარი ინჟინერი, ტექნიკური კონტროლის უფროსი, ლაბორატორიის გამგე, მთავარი მოდელიერი, საამქროების უფროსები, ოსტატები და მოწინავე მუშები იმ საწარმოებიდან, რომელთა ნაწარმის ხარისხს ამოწმებენ.

ამჟამად კომისიამ უკვე დაამთავრა ფეხსაცმლის გაერთიანება „ისნის“, ფეხსაცმლის № 2 ფაბრიკის, თბილისის სამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკისა და ბათუმის ფეხსაცმლის ფაბრიკის პროდუქციის შეფასება. დასახულია აღმოჩენილი დეფექტების გამოსწორების ღონისძიებები, მოცემულია ვადები ამ დეფექტების გამოსასწორებლად და ანალიზი აქვს გაკეთებული მიზეზებს, რომლებმაც გამოიწვია ფეხსაცმლის ხარისხის დაქვეითება.

შემუშავებულ ღონისძიებათა განხორციელების ვადად მოცემულია ექვსი თვე. ამ ხნის განმავლობაში ფეხსაცმლის მრეწველობაში დამატებით დაინერგება 18 ახალი მოდელის ფეხსაცმლის გამოშვება, 12 ახალი ფასონის კალაპოტის გამოყენება, საგრძნობლად გაუმჯობესდება ფეხსაცმლის გარეგნობა და შიგნითა მოპირკეთება. ამას ხელს უწყობს მთელი რიგი საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის განხორციელება.

ხარისხის 40-ბალიანი წესით შემოწმების პირველმა ეტაპმა გვიჩვენა, რომ ფეხსაცმლის ხარისხი რესპუბლიკის თითქმის ყველა ფეხსაცმლის ფაბრიკაში დაახლოებით თანაბარ დონეზეა. გაერთიანება „ისნაში“ ფეხსაცმლის შეფასებამ საშუალოდ 25,5 ბალი შეადგინა, ფეხსაცმლის № 2 ფაბრიკაში — 25 ბალი, თბილისის სამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკაში — 26 და ბათუმის ფეხსაცმლის ფაბრიკაში — 27 ბალი.

სულ შეფასებულ იქნა 38 სახეობის ფეხსაცმლის ხარისხი. მათი ხარისხი მერყეობს 14-დან 31 ბალამდე, ე. ი. საგრძნობლად დაბალია, ვიდრე ნაწარმის საუკეთესო ხარისხის დონე გულისხმობს.

ხარისხის ასამაღლებლად ამ პირველ ეტაპზე გაწეული მუშაობის შედეგები შეჯამებული იქნება ექვსი თვის შემდეგ, ე. ი. 1966 წლის მეორე კვარტალში. დამისია შეუდგება მეორე ეტაპის სამუშაოს შესრულებას — ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის ღონისძიებათა შემუშავებას იმ შედეგის შესაბამისად, რასაც ფეხსაცმლის ხარისხის შემდგომი შეფასება გვიჩვენებს.

კომისიას გადაწყვეტილი აქვს ახლო მომავალში თავისი მუშაობა გადაიტანოს სოხუმისა და ქუთაისის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატებში. ვფიქრობთ, რომ მეორე ეტაპისათვის ქართული მარკის ფეხსაცმლის ხარისხი საგრძნობლად ამაღლდება.

სასურველად მეგვაჩინია ანალოგიური მუშაობა გაეჩაღონ მრეწველობის იმ დარგების სამეცნიერო-ტექნიკურმა საზოგადოებებმა (მაგალითად, ტყავდამუშავების, საფეიქრო და სხვა დარგებისა), რომლებიც ფეხსაცმლის მრეწველობას საბოლოო მასალებით ამარაგებენ. ეს დიდად შეუწყობს ხელს ქართული მარკის ფეხსაცმლის ღირსების ამაღლებას.

გვინდა დავაყენოთ ერთი მეტად საყურადღებო საკითხი. უკვე დიდი ხანია მომწიფდა საქართველოში ფეხსაცმლის მოდელების სახლის მოწყობის საკითხი. ფეხსაცმლის ხარისხისა და ასორტიმენტის გასაუმჯობესებლად, წარმოებაში ახალი ფასონებისა და მოდელების დასანერგავად ასეთი სახლის შექმნა უთუოდ დიდ როლს შეასრულებს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ფეხსაცმლის მოდელების სახლები უკვე მუშაობენ აზერბაიჯანში, სომხეთში, ლიტვაში, ლატვიაში და სხვ., სადაც ტყავ-ფეხსაცმლის წარმოების მოცულობა ნაკლებია, ვიდრე ჩვენს რესპუბლიკაში.

უკვე დროა ჩვენშიც მოვაკიდოთ ხელი ფეხსაცმლის სამოდელო სახლის მოწყობას.

ნ. ბაბასიანი,
მსუბუქი მრეწველობის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების ფეხსაცმლის სექციის თავმჯდომარე, უფროსი ინჟინერი.

თბილისის კაპრონის წინდების ფაბრიკა „კრწანისის“ კოლექტივმა ვალდებულება იკისრა ჩვენი პარტიის XXIII ყრილობის აღსანიშნავად გეგმის ზევით გამოუშვას 100 ათასი წყვილი წინდა.
სურათზე: ქარხნის მოწინავე მუშები (მარცხნიდან მარჯვნივ) მქსოველი მედეა ბერუაშვილი, მკერავი-მოტორისტი ციური მიქაძე და მქსოველი ნინო სამოილოვა.
ფოტო ს. კილაძისა.

წლიური გეგმა — ერთი თვით ადრე

საქხმტყესსაშენვაჭრობის კოლექტივი წარმატებით იბრძვის სკკპ XXIII და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობების აღსანიშნავად აღებულ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის. საცალო საქონელბრუნვის 1965 წლის გეგმა კოლექტივმა ვადაზე ადრე — პირველი დეკემბრისათვის 101,4 პროცენტით შეასრულა, ზეგეგმითმა დაგროვებამ შეადგინა 135 ათასი მანეთი, მიმოქცევის ხარჯებში გაწეულია ეკონომია 78 ათასი მანეთის ოდენობით, ხოლო ხელფასის ფონდში ეკონომია უდრის 22 ათას მანეთს.

ამ წარმატებით საქხტყესსაშენვაჭრობის კოლექტივს (მმართველი ამხ. ი. ძებისაშვილი) რესპუბლიკის სახელმწიფო ვაჭრობის სისტემაში პირველი ადგილი უჭირავს. სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით მიმდინარე წელს (II და III კვარტალში) საქხტყესსაშენვაჭრობის კოლექტივს ორჯერ მიენიჭა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

ამ საწარმოს კოლექტივს მიზნად აქვს დასახული ახალი წარმატებებით დაამთავროს სამეურნეო წელი, ჩვენი პარტიის ყრილობას შეხვდეს მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით.

საქხტყესსაშენვაჭრობის კოლექტივი ენერგიულად იბრძვის იმისათვის, რომ შემდგომშიც შეინარჩუნოს საპატიო ჯილდო — გარდამავალი წითელი დროშა.

დაგეგმვა ყურადღების ცენტრში

ორჯონიკიძის სახელობის შახტში, ისევე როგორც ტყიბულის ქვანახშირის საბადოს დანარჩენ სამთო საწარმოებში, წინათ ყურადღების ცენტრში მხოლოდ ერთი ეკონომიური მაჩვენებელი იყო — „საერთო პროდუქცია“.

არის „საერთო პროდუქციის“ გამოშვების დავალება! — კარგია, ყველა კმაყოფილია. დანარჩენ ეკონომიურ მაჩვენებლებს მაინცდამაინც სათვალავში არ იღებდნენ.

ახლა მდგომარეობა შეიცვალა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ შახტში ყველა დაინტერესა ერთმა ეკონომიურმა მაჩვენებელმა — მოპოვებული ნახშირის თვითღირებულებამ.

საქმე ის არის, რომ მიმდინარე წლის პირველ 9 თვეში შახტის კოლექტივმა საერთო პროდუქციის გამოშვება, ანუ, როგორც სამთოელები იტყვიან, ქვანახშირის მოპოვების გეგმა შეასრულა. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით — 107 პროცენტით. ფაბრიკა-ქარხნებს გავუგზავნეთ 45 ეშელონი ზეგეგმითი „შავი ოქრო“. თვითეული მუშის შრომის ნაყოფიერება გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით გაიზარდა 8,3 პროცენტით, ნაცრიანობა შემცირდა 0,03 პროცენტით.

მაგრამ, სამწუხაროდ, ამ კარგი ეკონომიური მაჩვენებლების გვერდით არის ლაქა. არ შესრულებულა ტონა ქვანახშირის თვითღირებულების დავალება. მიმდინარე წლის პირველ 9 თვეში თვითეული ტონა ქვანახშირი გეგმით უნდა დაჯდარიყო 9 მანეთი და 86 კაპიკი, ფაქტიურად დაჯდა 10 მანეთი და 26 კაპიკი, ე. ი. 45 კაპიკით მეტი. თვითღირებულების ასეთი გაძვირების გამო შახტმა 112.200 მანეთი იზარალა.

რაშია საქმე? რატომ მუშაობს შახტი არარენტაბელურად? ვინ არის დამნაშავე?

თვითღირებულების მაჩვენებლის გაუარესების საქმეში, შეიძლება ითქვას, შახტის კოლექტივს არ მიუძღვის დანაშაული. აქ მომჭირნეობის რეჟიმის მტკიცედ დაცვის შედეგად გაწეულია დიდი ფულადი ეკონომია. ასე, მაგალითად, ხეტყის სამაგრი მასალის, რელსების, ლითონის ბაგირების და სხვა მასალების ეკონომიურად ხარჯვისა და განმეორებით გამოყენების შედეგად დაზოგილი იქნა 44.800 მანეთი. შიდა საჭიროებისათვის განკუთვნილი საწვავი ნივთიერების და ელექტროენერგიის დაზოგვის შედეგად რესპუბლიკის ეკონომიურ ფონდში გადავრიცხეთ 5.600 მანეთი. ეკონომია გვაქვს ხელფასის ფონდშიც. მიუხედავად ამისა, პროდუქციის თვითღირებულების გაიაფების ნაცვლად, მიგიღეთ მისი გაძვირება.

სათბობის თვითღირებულების გაძვირება, ერთი სიტყვით, „საგარეო“ მიზეზის ბრალია, რომლის გამოსწორება შახტის კოლექტივს არ ძალუძს. კერძოდ, ეს არის ზემდგომი ორგანოების მიერ არასწორი დაგეგმვის შედეგი.

ორჯონიკიძის სახელობის შახტი წლების განმავლობაში პროდუქციის თვითღირებულების დავალებას პირნათლად ასრულებდა. ავიღოთ, თუ გნებავთ, შარშანდელი წელი. სათბობის თვითღირებულების გაიაფების შედეგად შარშან დაზოგა 72.700 მანეთი. მიმდინარე წლის პირველ სამ კვარტალში, როგორც ვთქვით, გადახარჯულია 112.200 მანეთი. როგორც ვხედავთ, შარშანდელ და წლევანდელ მაჩვენებლებს შორის დიამეტრალური განსხვავებაა. შარშან მოგება, წელს — ზარალი.

სად ვეძებოთ ამის მიზეზი? პასუხი ერთია — არარეალური, ზერელე დაგეგმვაში.

მიმდინარე წლის იანვრიდან შახტში სრული სიმძლავრით ამოქმედდა ახალი მექანიზებული მეორე ღრმა სამთო ჰორიზონტი. შახტს შეემატა ისეთი მძლავრი დანადგარები, როგორიც არის წყალსატუმბავი მეურნეობის კომპლექსი, საშახტო ელმავლების დეპო, ელექტროძვირფასადგური, დიდძალი კაპიტალური სამთო გამონამუშევრები, ე. ი. მნიშვნელოვნად გადიდდა შახტის ძირითად საშუალებათა ოდენობა.

შახტის ადმინისტრაციამ, ძირითად საშუალებათა რაოდენობის გადიდებასთან დაკავშირებთან, მოითხოვა შესაბამისად გაეზარდათ ძირითად საშუალებათა საამორტიზაციო დანარიცხები. მაგრამ ეს მოთხოვნა უურადღებას არ იღებს.

ძირითად საშუალებათა საამორტიზაციო დანარიცხების არასწორმა დაგეგმვამ მეტად მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში ჩააყენა შახტი. საწარმოს ალარ ჰყოფნის საბრუნავი საშუალებები. გაძვირდა პროდუქციის თვითღირებულება, ტონა ქვანახშირის თვითღირებულების მაჩვენებლებს უკიდურესად გაუარესების გამო შახტმა ამას წინათ უარი თქვა მონაწილეობა მიეღო საქართველოს სსრ საწარმოთა შორის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში და ეიურის არ გაუზავნა მესამე კვარტალის მუშაობის მაჩვენებლები. ახლა საქმე ასე დგას: რაც უფრო მეტ ზეგეგმით სათბობს იღებს შახტის კოლექტივი, მით უფრო უარესდება საწარმოს ფინანსური მდგომარეობა. ეს უარყოფითად მოქმედებს შახტის მთელ კოლექტივზე, მეტი სათბობისათვის მებრძოლ ადამიანებს უკარგავს მუშაობის სტიმულს.

საჭიროა ზემდგომმა ორგანოებმა გამოსწორონ შეცდომა. რაც უფრო მალე მოხდება ეს, მით უკეთესი იქნება საქმისათვის.

ნ. კგილაძე,
ტყიბულქვანახშირის ტრესტის ორჯონიკიძის სახელობის შახტის პარტბიუროს მდივანი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ნ. ვ. მოზოვეციანისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა მუსიკალურ-ოპერული ხელოვნების დარგში ხანგრძლივი მუშაობისა და წარმატებებისათვის ამხ. ნინო ვიაჩესლავის ასულ მოზოვეციანის მიენიჭოს საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.

**საქართველოს

საერთაშორისო ცხოვრება

მშვიდობა ვიეტნამს!

მონ ლ ო ლ ე თ ი. „ხელები შორს ვიეტნამისაგან!“ „სირცხვილი ამერიკელ ინტერვენტებს!“ — ეს სიტყვები გაისმა ულან-ბატორის სამედიცინო ინსტიტუტში გამართულ მიტინგზე. სტუდენტებმა განაცხადეს, რომ ისინი არა მარტო მორალურად უჭერენ მხარს თავიანთ ვიეტნამელ დებსა და ძმებს, არამედ მზად არიან მატერიალურადაც დეხმარონ მათ.

მცირე ვიეტნამელი ხალხთან სოლიდარობის მიტინგები გაიმართა მონ ლ ო ლ ე თ ის დედაქალაქის სხვა ადგილებშიც.

ი ნ დ ო ე თ ი ი. „შეწყდეს ვიეტნამის ომი!“ — ასეთი პლაკატებით გამოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს შენობასთან ამერიკელი მეცნიერი მუშაკები და სტუდენტები, რომლებიც დელის უნივერსიტეტში სწავლობენ.

„ამ დემონსტრაციას ამერიკის საელჩოს შენობასთან, — განაცხადა დემონსტრაციის ერთ-ერთმა მონაწილემ, ამერიკელმა მეცნიერმა ჯონ სტიუარტ ბლექტონმა, — ვმართავთ იმ უაზრო ომს წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომელსაც შეერთებული შტატების მთავრობა ვიეტნამში აწარმოებს. ამერიკელები, — ხაზგასმით აღნიშნა მან, — სრულიად არ არიან დაინტერესებული ამ ომით“.

ა ვ ს ტ რ ა ლ ი ა: მელბურნში ამერიკის საკონსულოს შენობასთან გაიმართა ომის საწინააღმდეგო მიტინგი, რომელიც მოეწყო ავსტრალია-ახალი ზელანდიის საერთაშორისო თანამშრომლობისა და განიარაღების კონგრესის მოწოდებით. მიტინგზე, რომელიც გაიმართა ლოზუნგით „დაუყოვნებლივ შეწყდეს ვიეტნამის ომი“, გამოვიდნენ პროფკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. (საკდესი).

ფ ი ნ ა ლ ი ს მ ე ო რ ე ტ უ რ ი

მემარცხენე ძალების კანდიდატის დიდი წარმატება

პ ა რ ი ზ ი, 6 დეკემბერი. (საკდესი). პრეზიდენტობის ექვს კანდიდატს შორის არც ერთს არ მიუღია ხმების აბსოლუტური უმრავლესობა არჩევნების დროს, რომელიც გუშინ გაიმართა საფრანგეთში. ამიტომ 19 დეკემბერს საფრანგეთში უნდა გაიმართოს არჩევნების მეორე ტური, რომელშიც კონსტიტუციის თანახმად მონაწილეობა უნდა, მიიღოს რომა კანდიდატმა, რომლებმაც ყველაზე მეტი ხმა მოაგროვეს. პირველ ტურში ეს კანდიდატებია: შარლ დე გოლი და მემარცხენე ძალების კავშირის კანდიდატი ფრანსუა მიტერანი.

დღეს ნაშუალამევს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა. საფრანგეთის არჩევნების პირველი ტურის შედეგები (აქ არ შედის ზღვისმიერი დეპარტამენტებისა და ტერიტორიების ამომრჩეველთა ხმები).

საფრანგეთის ახალგაზელმა პრეზიდენტმა დე გოლმა მიიღო 10.504.007 ხმა (ამომრჩეველთა 43,96 პროცენტი), ფიტერანმა — 7.655.042 ხმა (32,04 პროცენტი), ლეკანუემ — 3.770.771 ხმა) (15,78 პროცენტი), ტიქსიე-ვინიანიურმა — 1.269.095 ხმა (5.31 პროცენტი), მარსილასიმ — 414.056 ხმა (1,74 პროცენტი), ბარბიუმ — 278.420 ხმა (1,17 პროცენტი).

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო რეგისტრაციაში გატარებულ 28.402.084 ამომრჩეველდან 24.140.259 კაცმა (84,99 პროცენტი). უმაგალითო აქტივობა მოწმობს იმას, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებენ აქ პრეზიდენტის არჩევნებს. საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიამ ამომრჩეველებისადმი მიმართვაში არჩევნები დაახასიათა ისეთ აქტად, „რომელზედაც დამოკიდებულია საფრანგეთის მომავალი“.

გუშინდელი არჩევნების შედეგების პირველი კომენტარები მოწმობენ მემარცხენე ძალების კანდიდატის ფ. მიტერანის დიდ წარმატებას, რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა შეგროვებული ხმების რაოდენობით. მიტერანის კანდიდატურას მხარს უჭერენ საფრანგეთის კომუნისტური პარტია, საფრანგეთის სოციალისტური პარტია, საერთიანებული სოციალისტური პარტია, რადიკალთა პარტია და სხვა დემოკრატიული, რესპუბლიკური ძალები.

„იუნიონ მინიერი“ იმუქრება...

ბ რ ა ზ ა ვ ი ლ ი, 4 დეკემბერი. (საკდესის კორესპონდენტი რ. სერებრიანიკოვი გვაცნობებს): იან სმიტის რასისტული ხროვის მოქმედებამ, რომელმაც გამოაცხადა სამხრეთ როდეზიის „დამოუკიდებლობა“, მთელი აფრიკა აღშფოთა. სხვა ქვეყნების ქვალდაკვალ იან სმიტის დანაშაულებრივი აქტი იძულებული იყო დაეგმო ლეოპოლდვილის მთავრობასაც, რადგანაც გადაცემულ განცხადებაში ლეოპოლდვილის მთავრობამ გამოაცხადა, რომ ყოველგვარ ურთიერთობას გაწყვეტს „იან სმიტის უკანონო ინსტიტუტებთან“.

კონგოს მთავრობის ამ განცხადებამ გამოიწვია მონომოლისტური ტრესტის „იუნიონ მინიერის“ ელვისებური რეაქცია. პრესის ადგილობრივი საააგენობასაც. რეპორტიორისათვის მიცემულ ინტერვიუში „იუნიონ მინიერის“ გენერალური დირექტორი ანრი ფორტანი „იმუქრება“, რომ ყოველი სანქცია სამხრეთ როდეზიის წინააღმდეგ „ზემოქმედებას მოახდენს“ კონგოს ეკონომიკასა და პოლიტიკაზე.

ბელგიის ამ უძლიერესი ტრესტის მესვეურთა გაბარაზება აღვილი გასაგებია. თავისი სპილენძსადნობი ქარხნებისათვის „იუნიონ მინიერი“ სამხრეთ როდეზიაში ყიდულობს კოქსსა და ქვანახშირს. სამხრეთ როდეზიის გავლით სამხრეთ აფრიკიდან—„იუნიონ მინიერი“ იღებს ასაფეთქებელ ნივთიერებას, რომელსაც იყენებს მიწისქვეშა სამეშოიებისათვის. გარდა ამისა, ბელგიის ტრესტის ექსპორტის ოც პროცენტზე მეტი ხორციელდება ბეირუს გავლით და შემდეგ რკინიგზით, რომელიც გადის ზამბიისა და სამხრეთ როდეზიის ტერიტორიაზე.

ამრიგად, სანქციებმა სამხრეთ როდეზიის რასისტების მიმართ შეიძლება სერიოზულად შელახონ „იუნიონ მინიერის“ ინტერესებიც“. ტრესტის მეპატრონეები იძულებული იქნებიან იყიდონ კოქსი ევროპაში ან ამერიკის შეერთებულ შტატებში ოთხჯერ უფრო ძვირად, ვიდრე ახლა ყიდულობენ. ქვანახშირიც უფრო ძვირი დაუჯდებათ. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, გავლენას მოახდენს მოგებაზეც. ბატონი ფორტანისათვის კი მოგება სათაყვანებელი კერპია. აი რატომ უჭერს მხარს „იუნიონ მინიერი“ სამხრეთ როდეზიის რასისტებს ზიმბაბვეს ხალხის წინააღმდეგ.

მეთვალყურენი ბრაზავილში ამასთან დაკავშირებით აღნიშნავენ, რომ ლეოპოლდვილის კონგომ პატარა დელეგაცია გაგზავნა გუშინ აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის მინისტრების საბჭოს საგანგებო სესიაზე. საგანგო საქმეთა მინისტრმა ჟიულენს ბომბოკომ „მოიცელლობა“ მოიმიზეზა და უარი თქვა გამგზავრებულიყო ადის-აბებაში, სადაც დამოუკიდებელი აფრიკა განიხილავს სოლსბერელ მეამბოხე რასისტთა წინააღმდეგ ბრძოლის კონკრეტულ ღონისძიებებს.

არ არის გამორიცხული, რომ ზოგიერთს ლეოპოლდვილში „იუნიონ მინიერის“ „მეკარა“ უფრო მნიშვნელოვნად მოეჩვენა, ვიდრე მთავრობის კაბეგორიული განცხადება.

ვალდეკ როფეს გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

პ ა რ ი ზ ი, 6 დეკემბერი. (საკდესი). შეაფასა რა პრეზიდენტის არჩევნებში კენჭისყრის წინასწარი შედეგები, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ვ. როშმ ფრანგ პრესის სააგენტოს განუცხადა, რომ ისინი მოწმობენ „პირადი ხელისუფლების დამარცხებასა და მუშათა და დემოკრატიული ძალების კავშირის დიდ გამარჯვებას“. დღევანდელი არჩევნების მეორე მნიშვნელოვანი შედეგია, — თქვა მან, — „დიდი წარმატება, რომელიც მოიპოვა მემარცხენე ძალების საერთო კანდიდატმა ფრანსუა მიტერანმა“.

თუ და გოლმა პირველ ტურში ვერ მოაგროვა პრეზიდენტის პოსტზე ასარჩევი საჭირო 50 პროცენტი ხმებისა, მიტერანს შეუძლია მეორე ტურში მოაგროვოს „რესპუბლიკელთა და დემოკრატთა ყველა ხმა, რომელნიც პირადი ხელისუფლების რეჟიმის წინააღმდეგ გამოდიან“, თქვა როშმ.

პირადი ხელისუფლების რეჟიმის მნიშვნელოვანი დამარცხების შემდეგ საჭიროა „განვაგრძოთ ერთობლივი ბრძოლა ახალი დემოკრატიის მიღწევის მიზნით“.

ქასავუბუ შეობლიურ სოფელში

ლ ო ნ დ ო ნ ი, 6 დეკემბერი. (საკდესი). ლეოპოლდვილში გამოაცხადეს, რომ კონგოს ყოფილ პრეზიდენტს ჟოზეფ კასავუბუს ნება დართეს დატოვოს სამხედრო ბანაკი, სადაც იგი ჰყავდათ პუტჩის შემდეგ, რომელიც ხელისუფლება დაიკარგვინა.

როგორც რეიტერის საააგენტოს კორესპონდენტი ლეოპოლდვილიდან იუწყება, დამბრობილი პრეზიდენტის ერთ-ერთმა თანაშემწემ განაცხადა, რომ კასავუბუ დაბრუნდა თავის შობლიურ სოფელში. მან აგრეთვე თქვა, რომ არის ერთგვარი ეჭვი კასავუბუს მომავალი პოლიტიკური კარიერის გამო.

შესაძლოა, ყოფილი პრეზიდენტი დარჩეს სამუშაოდ თავის ფერმაში შობლიურ სოფელში, რომელიც ქალაქ ბომის მიდამოებშია, დაახლოებით 500 კილომეტრზე ლეოპოლდვილის სამხრეთ-დასავლეთით.

გუშინ ლეოპოლდვილის რადიომ გამოაქვეყნა კასავუბუს დეპეშა გენერალ მობუტუსადმი, რომელმაც, როგორც ცნობილია, ჩამოაგდო იგი კონგოს სახელმწიფოს მეთაურის პოსტიდან და დაიკავა პრეზიდენტის სავარძელი, ხუთ წელიწადზე მეტ ხანს რომ ეკუთვნოდა კასავუბუს. ამ დეპეშით სოფელში დაბრუნებული ექს-პრეზიდენტი მადლობას უძღვნის მობუტუს იმისთვის, რომ ეს და მისი ოჯახის წევრებს კარგად ეპყრობოდნენ, როცა პარაშუტისტთა ბანაკში იყო დაპატიმრებული.

ლ. ბ. შასტრის ინტერვიუ

დ ე ლ ი, 4 დეკემბერი. (საკდესი). „ტაშკენტის სულისკვეთების, ესი იგი მშვიდობის სამედო ატმოსფეროს შექმნა აბსოლუტურად აუცილებელ პირობად მიმაჩნია პრეზიდენტ აიუბ ხანისა და ჩემი ყოველგვარი ნაყოფიერი ალაპარაკებისათვის“, — განაცხადა ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ლ. ბ. შასტრიმ ყოველკვირეულ „ბლიცის“ რედაქტორისათვის რ. კ. კარანჯიასათვის მიცემულ ინტერვიუში.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ ტაშკენტის მოლაპარაკებამ უნდა მოიცვას ინდოეთ-პაკისტანის ურთიერთობის ყველა ასპექტი და თქვა: „ჩვენ არ ვცდილობთ თავი ავარიდოთ რაიმე პრობლემის განხილას. მაგრამ არ შეიძლება უარვყოთ, რომ პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა გადაიჭრას, — ეს არის ცეცხლის შეწყვეტის მთელ ხაზზე ახლანდელი არასიმეფო დაზავების საკითხი“. „მას შემდეგ, რაც ნამდვილად შეწყდება ცეცხლი, — თქვა შასტრიმ, — ჩვენ შეგვეძლება დავიწყოთ სხვა საკითხების განხილვა“.

ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ იგი და აიუბ ხანი რამდენჯერმე უნდა შეხვედრილიყვნენ [illegible] ლა ამ პროსპექტზე [illegible] ბა და თანამშრომლობის ატმოსფეროზე, რომლებშიც [illegible] ტანის [illegible].

„ქაშმირი, — აღნიშნა შასტრიმ, — ერთადერთი პრობლემა როდია, რომელიც ამწვავებს ჩვენს ურთიერთობას. არის აგრეთვე ბევრი სხვა სადავო საკითხი, როგორიც არის, მაგალითად, ლტოლვილთა საკითხი, წყლის რესურსების უკეთ გამოყენების, დასავლეთ ბენგალიაში საზღვრების დემარკაციის და სხვა საკითხები, რომლებიც უნდა გადაიჭრას, რათა შემცირდეს უთანხმოების სფეროები და გაფართოვდეს თანხმობის სფეროები“.

„მაგრამ, — დასძინა პრემიერ-მინისტრმა, — საჭირო წინასწარი პირობა. — სანამ შესაძლებელი იქნება რაიმე განხილვა — ეს არის რაიმე მტკიცე შეთანხმების მიღწევა ცეცხლის შეწყვეტის სათანადო შესრულების პრობლემის შესახებ. თუ ტაშკენტში ამას მაინც მივაღწიეთ, თქვა პრემიერ-მინისტრმა, — ნახევრად მოგებულად ჩავთვლი მშვიდობისათვის ბრძოლას“.

აიუბ ხანის გამოსვლა

ნ ი უ-ი ო რ კ ი, 4 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის საააგენტო რავალპინდიდან იუწყება, პაკისტანის პრეზიდენტმა აიუბ ხანმა პაკისტანის რადიოთი გამოსვლის დროს განაცხადა, რომ, თუმცა პაკისტანი ამჟამად „ფაქტიურის რესურსებს და ეკონომიკას უხამებს თავდაცვის საჭიროებებს, ჩვენ არ უგულებელყოფთ ჩვენი პოლიტიკის მიზანს, სახელდობრ, მშვიდობის გზებს ძიებას“, ამასთან აიუბ ხანმა აღნიშნა, რომ „შეიძლება შენელდეს დაძაბულობა ინდოეთისა და პაკისტანის ურთიერთობაში, თუ სამართლიანად და პატიოსნად მოწესრიგდება ქაშმირის დავა. ჩვენი ეროვნული ინტერესებისათვის, თქვა აიუბ ხანმა, მეგობრული ურთიერთობა უნდა გვქონდეს ყველა ქვეყანასთან, განსაკუთრებით მეზობლებთან“.

პრეზიდენტმა აგრეთვე განაცხადა, რომ თანახმაა შეწყდეს ცეცხლი ინდოეთსა და პაკისტანს შორის და „მტკიცედ აქვს გაზზრახული დაიცვას ეს შეთანხმება, თუ ინდოეთიც ასევე მოიქცევა“.

წინადადება, რომ ტაშკენტში გაიმართოს პაკისტანის პრეზიდენტისა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრის შეხვედრა, განაცხადა აიუბ ხანმა, პაკისტანმა მიიღო „გულწრფელად და იმედი აქვს, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის მეცადინეობა ნაყოფს გამოიღებს.“

აიუბ ხანმა აღნიშნა, რომ „ნაყოფიერად ვითარდება პაკისტანისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობა“, და თქვა, რომ პაკისტანის საგარეო საქმეთა მინისტრი გ. ბუტუტო გასულ კვირაში მოსკოვში შეხვდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინსა და საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ა. გრომიკოს. ეს აიუბ ხანმა განაცხადა ამერიკის შეერთებულ შტატებში მომავალი ვიზიტის წინ.

მ ი უ ფ რ ი ნ ა ვ ს „ჯ ე მ ი ნ ი — 7“

ნ ი უ-ი ო რ კ ი, 5 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ ამერიკის შეერთებულ შტატებში გაუშვეს კოსმოსური ხომალდი „ჯემინი-7“, რომელშიც არის ორი კოსმონავტი — ხომალდის მეთაური სამხედრო-საპაერო ძალების პოდპოლკოვნიკი ფრენკ ბორმანი და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ავიაციის კომანდორი ჯეიმს ლოველი. ფრენა ნავარაუდევია 14 დღე-ღამისათვის. გაშვების ძირითადი მიზანია შეისწავლონ, თუ რა ზემოქმედებას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე ხანგრძლივი ყოფნა უწონობის მდგომარეობაში. ფრენის პროგრამით გათვალისწინებულია ავრეთვე დაახლოება ორბიტაზე კოსმოსურ ხომალდ „ჯემინი-6“-თან, რომლის გაშვებას ვარაუდობენ 13 დეკემბერს. ხომალდ „ჯემინი-6“-ის პილოტები იქნებიან სამხედრო-საზღვაო ფლოტის კომანდორი უოლტერ შირა და სამხედრო-საპაერო ძალების მაიორი თომას სტაფორდი.

ნ ი უ-ი ო რ კ ი, 6 დეკემბერი. (საკდესი). კოსმონავტები ბორმანი და ლოველი განაგრძობენ კოსმოსურ ფრენას ხომალდ „ჯემინი—7“-ით 5 დეკემბერს საღამოს 9 საათისათვის ადგილობრივი დროით მათ დაამთავრეს დედამიწის მე-19 გარშემოვლა.

ფრენის ხელმძღვანელმა კ. კრაფტმა გაბაცხადა, რომ ხომალდის აპარატურა ნორმალურად მუშაობს.

კოსმონავტები ასრულებდნენ ფრენის პროგრამით დაგეგმილ ექსპერიმენტებს, კერძოდ, ამოწენდნენ, თუ რამდენად მკაფიოდ მოჩანს კოსმოსიდან ვიზუალური დაკვირვების დროს დედამიწაზე განლაგებული საგნები. კოსმონავტები აკვირდებოდნენ სპეციალურად ამ მიზნისათვის გამოყოფილ ნაკვეთებს ტეხასის ქალაქ ლარედოს მახლობლად. 12 ნაკვეთი დანიშნილი იყო. თითოეულ ნაკვეთის ფართობია 2 ათასი კვადრატული ფუტი (ერთი ფუტი უდრის 30,5 სანტიმეტრს).

ლოველმა შეამჩნია სამი ნაკვეთი, მაგრამ საკონტროლო პუნქტიდან უპასუხეს, მის მიერ დასახელებული სამი ნომრიდან, ორი მცდარიაო.

ამ ექსპერიმენტის დროს კოსმონავტები მკაფიოდ ხედავდნენ კვანძის ყანგლარებს დედამიწის მონიშნული ნაკვეთების გარშემო.

ნ ი უ-ი ო რ კ ი, 6 დეკემბერი. (საკდესი). 11 საათსა და 15 წუთისათვის მოსკოვის დროით ამერიკის კოსმოსურმა ხომალდმა „ჯემინი-7“-ძა 23-ჯერ შემოუფრინა დედამიწას. ფრენის პროგრამის თანახმად ფ. ბორმანი და ჯ. ლოველი ამ დროს ისვენებდნენ. ეს პირველი ფრენაა „ჯემინის“ პროგრამით, რომლის დროსაც კოსმონავტებს შეუძლიათ ერთდროულად დაისვენონ. ყველა წინა გაფრენის დროს ერთი კოსმონავტი ყოველთვის ფხიზლობდა.

ამერიკელი კოსმონავტები ფრენის მესამე დღეს აწარმოებენ ბევრ სხვადასხვა სამედიცინო და ტექნიკურ ექსპერიმენტს. გაიღვიძებს თუ არა 16 საათსა და 15 წუთზე მოსკოვის დროით, კოსმონავტმა ჯ. ლოველმა უნდა გაიხადოს კოსმოსური კოსტუმი და რამდენიმე ხნის განმავლობაში განაგრძოს ფრენა კომბინეზონის ამარა. ეს იქნება ასეთი სახის პირველი ექსპერიმენტი ამერიკის კოსმოსურ გაფრენებში. როგორც ცნობილია, სამ საბჭოთა კოსმონავტს, რომლებმაც შარშან იფრინეს კოსმოსური ხომალდით „ვოსხოდით“ ჩვეულებრივი კოსტუმები ეცვათ.

დღეს აგრეთვე ეცდებიან დაამყარონ სატელეფონო კავშირი ლაზერის საშუალებით ხომალდ „ჯემინი-7“-სა და დედამიწის სამეთვალყურეო და კავშირის სადგურს შორის ჰავაის კუნძულებზე.

კოსმონავტები ფ. ბორმანი და ჯ. ლოველი, ფრენის პროგრამის თანახმად, აწარმოებენ ვიზუალურ დაკვირვებას, აგრეთვე გაზომვებს ინფრაწითელ სხივებში კალიფორნიის ვანდენბერგს ავიაბაზიდან რაკეტა „მინიტმენის“ და კენედის კოსმოსის მახლობლად წყალქვეშა ნავიდან რაკეტა „პოლარისის“ გაშვების დროს.

იმ დროს, როცა „ჯემინი-7“ წარმატებით განაგრძობს ფრენას, კენედის კოსმოსის მამდენარეობს კოსმოსური ხომალდის „ჯემინი-6-ის მომზადება, რომლის გაშვებას ვარაუდობენ 13 დეკემბერს ხომალდ „ჯემინი-7“-თან მიახლოება მანევრის განსახორციელებლად. პროგრამის ხელმძღვანელთა განცხადების თანახმად, ხომალდის მომზადება მიმდინარეობს გრაფიკის გასწრებით, და გაშვება, შესაძლოა განახორციელონ 12 დეკემბერს.

ინ დ ო ე თ ი ს „ ბ ლ ი ც ი“

ა ტ ო მ უ რ ი მ უ ხ ტ ე ბ ი ს ა ბ ე რ ძ ნ ე თ ი ს ა

ა თ ე ნ ი, 4 დეკემბერი. (საკდესი). საბერძნეთის ეროვნული თავდაცვის მინისტრმა ს. კოსტოპულოსმა განაცხადა, რომ საბერძნეთში არის ატომური მუხტები. ამასთან დაკავშირებით საბერძნეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

საბერძნეთის გადაქცევა ამერიკის იმპერიალიზმის ატომურ არსენალად ზრდის ბალკანეთისა და ხმელთაშუა ზღვის რაიონში სამხედრო ავანტიურების საფრთხეს, სახიკვდილო საფრთხეს უქმნის მშვიდობას, ხალხთა ცხოვრებასა და ერების ბედს და საბერძნეთს უპირისპირებს სოციალისტურ და მიუმხრობელ სახელმწიფოებს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ნამდვილი მეგობრები და კეთროსის საქმის დამცველები არიან.

განცხადებაში შემდეგ აღნიშნულია, რომ საბერძნეთის ჩაბმა პენტაგონის ატომურ სტრატეგიაში „ეროვნული რადიკალური კავშირის მთავრობის ღალატის აქტია“. ეს მთავრობამ ჩაიდინა ბერძენი ხალხისა და პარლამენტისაგან მალულად, ერის უმაღლესი ინტერესების საწინააღმდეგოდ, ნათქვამია განცხადებაში.

პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ ხალხს დაუმალეს საბერძნეთში ატომური იარაღის არსებობა, ცენტრის კავშირის მთავრობასაც ეკისრება.

საბერძნეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო აღნიშნავს, რომ 15 ივლისის გადატრიალება საბერძნეთში უშუალოდ არის დაკავშირებული ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტთა ცდასთან — კიდევ უფრო მეტად ჩაებან საბერძნეთი ნატოს ატომურ პოლიტიკაში და გაავრცელონ ეს ინფორმაციები.

რ ო მ ი, 4 დეკემბერი. (საკდესი). იტალიაში არის ატომური მუხტები, აღიარა იტალიის მთავრობის მეთაურმა ა. მორომ, რომელმაც უპასუხა შეკითხვებზე იტალიის პარლამენტის დეპუტატთა პალატაში. მაგრამ მორო ცდილობდა შეემცირებინა ამ ფაქტის მნიშვნელობა. იგი შეეცადა „დაემშვიდებინა“ დეპუტატები და განაცხადა, რომ ატომურ მუხტებს „ორმაგი კლიტე“ აღვევთ და მათ იტალიაკი არ განაგებს, არამედ ამერიკის შეერთებული შტატები. ასეთი მდგომარეობა, განაცხადა მორომ, ძირფესვიანად განსხვავდება იმ ვითარებისაგან, რომელიც დროს ატომური იარაღი იტალიას გადაეცემოდა, თუ განხორციელდებოდა მრავალმხრივი ატომური ძალების შექმნის გეგმა.

მაგრამ იტალიის პრემიერის ასეთმა განმარტებამ სრულიადაც არ დაამშვიდა პარლამენტის ის წევრები, რომლებმაც შეკითხვები მისეს. „მოროს სიტყვამ, — თქვა კომუნისტმა დეპუტატმა მ. ალიკატამ, — დაადასტურა, რომ იტალიაში არის ბევრი ამერიკული ატომური მუხტი.

მ. ალიკატამ თქვა: იმისათვის, რომ მოესახოთ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და უშიშროების ეს საფრთხე, საზოგადოებრივმა აზრმა, მუშათა კლასმა, ხალხის მასებმა უნდა გააჩაღონ თავრთო ბრძოლა. ატომური მუხტები არის იტალიაში, და ყველამ, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა, ყოველმა დემოკრატმა, ყოველმა იტალიელმა უნდა იბრძოლოს, რათა შეცვალოს ასეთი მდგომარეობა“.

ი ტ ა ლ ი ი ს პ რ ე მ ი ე რ ი ა ლ ი ა რ ე ბ ს

ა ფ რ ი კ ი ს ჯ ა რ ე ბ ი

ა ბ რ ა ზ ა ვ ი ლ ი 6 დეკემბერი. (საკდესი). ბრაზავილში ამერიკელ ჯარისკაცებს ებრძოლებიან ანგოლელ ბანდიტებთან. ეს ბანდიტები ანგოლიდან ზაირის ტერიტორიაზე ინაცვლებენ ხოლმე. ბელგიელ ჯარისკაცებს ბანდიტებთან ბრძოლა ადვილად ეგონა

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

წერილი ოკეანიდან

სამშობლოსაკენ

თევზსაყინავ ტრაულერ „თბილისის“ კაპიტან-დირექტორის კიუტაში მორიგი საწარმოო თათბირია. განვლილ დღეღამეში გაწეულ მუშაობაზე მოხსენებას როგორც ყოველთვის, კეთებს კაპიტანის თანაშემწე წარმოების დარგში ნუგზარ კოხრეიძე. თავის მოხსენებაში იგი ამბობს, რომ სოციალისტური ვალდებულების შესრულებამდე გასაყინავი დარჩა 40 ტონა თევზის პროდუქცია.

რეწვის პირობები არადამაკმაყოფილებელია. კაპიტანი მითითებას აძლევს მორიგ შტურმანს შეუდგეს ძიებას. სამი საათის ძიების შემდეგ თევზის დიდი თავმოყრა აღმოჩენილია 76 კვადრატში. ჩაუშვეს ტრალი. ერთი საათის შემდეგ იგი ამოსწიეს და შიგ აღმოჩნდა 25 ტონა თევზი. ტრალზე მომუშავე გუნდმა იცის, რომ დაყოვნება არ შეიძლება. მყისვე ცლიან ტრალს და ხელმეორედ უშვებენ ზღვაში, ამასთან იციან, რომ მთელი წარმატება ამ ტრალზეა დამოკიდებული. როცა დარწმუნდა, რომ თევზის თავმოყრა მართლაც დიდი იყო, კაპიტან-დირექტორმა გიორგი სვანიძემ, როგორც ყოველთვის, ეთერით გამოუძახა რეწვაზე მყოფ ყველა გემს და აუწყა თავისი კოორდინატები.

თევზის საამქროში გახურებული მუშაობაა. აფასოებენ თევზს და ურიკებით შეაგროვებენ ხოლმე საყინავ კამერებში. საამქროს მეორე ბოლოში კი ურიკებს გამოაგორებენ და მზა პროდუქცია დამუშავების, შეფუთვისა და მარკირების შემდეგ ტრიუმში იგზავნება.

ღამის სამი საათია, მაგრამ გეშზე არავის არ სძინავს. მთელი ეკიპაჟი თევზის საამქროშია. ტექნოლოგი ნუგზარ კოხრეიძე მოახსენებს ბოგაზე, რომ საყინავ კამერაშია ერთი უკანასკნელი ურიკა თევზი და სთხოვს კაპიტანს გამოაგოროს ეს უკანასკნელი ურიკა. კაპიტანი ამას სიხარულით აკეთებს. ურიკიდან თევზი უნდათ ტაფებით გადმოიღონ, მაგრამ ტაფები არა ჰყოფნით, ისინი სულ ორმოცდაერთია, ეკიპაჟი კი 76 კაცისაგან შედგება. ნაწყენი რომ არავინ დარჩენილიყო, თითო ტაფას იღებდა ორ-ორი კაცი. უკანასკნელი ტაფა მე შემხვდა. შემფუთავები ფუთავენ უკანასკნელ ყუთს და ზუდ დიდი ასოებით აწერენ 55.000 ცენტნერი და ტრიუმში გზავნიან.

შესანიშნავად იმუშავა ჩვენმა ეკიპაჟმა ამ ძნელი ოვათვიანი რეწვის განმავლობაში. 24 ნოემბერს ღილის რვა საათზე წაკოთხულ იქნა თევზსაყინავ ტრაულერ „თბილისის“ კაპიტნის ბრძანება, რომლითაც ეკიპაჟს მადლობა გამოეცხადა მიღწეული დიდი წარმატებებისათვის. რვა საათსა და ოცდაათ წუთზე ხარეწაო გემების ღილის თათბირზე რეწვის უფროსის გამოსვლის შემდეგ სიტყვა აიღო ტრაულერ „თბილისის“ კაპიტან-დირექტორმა გიორგი სვანიძემ. მან მოახსენა, რომ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულება შესრულებულია. რეწვა დამთავრდა და ტრაულერი სამშობლოსაკენ მიემართება.

ზედიზედ გამოდიან ყველა სარეწაო გემის კაპიტნები და ულოცავენ მთელ ჩვენს ეკიპაჟს სარეწი რეისის წარმატებით დამთავრებას, სახელმწიფო გეგმისა და ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებას. უსურვებენ ბედნიერ ცურვას, ზურგის ქარს, ბედნიერ შეხვედრებს, კარგ დასვენებას.

დასკვნითს გამოსვლაში გიორგი სვანიძე ეკიპაჟისა და პირადად თავისი, სახელით მადლობას უძღვნის კაპიტნებს ერთობლივი მუშაობისათვის. უსურვებს მათ სახელმწიფო გეგმებისა და ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებას, თევზჭერაში წარმატებას, სამშობლოში მალე დაბრუნებას. ტრადიციის მიხედვით ტრაულერი „თბილისი“ სპატიო წრეს უვლის და გამოსათხოვარ საყვირს იძლევა, რითაც იუწყება რეწვის დამთავრებას და სამშობლოსაკენ წასვლას. ამ კვადრატში მყოფი ყველა გემი სპასუხო საყვირებით გვიშვიდობება.

ბოგაზეა კაპიტან-დირექტორი გიორგი სვანიძე. იგი იძლევა განკარგულებას: „ბორტზე მარჯვნივ. კურსი 314 გრადუსი!“ ეს კურსია სამშობლოსაკენ. უფროსი მესაჭე ვაჟა მზარელუა სიხარულით ასრულებს დიდი ხნის ნანატრ ბრძანებას.

ტრაულერი „თბილისი“ ვარაუდობს, რომ სამშობლოში იქნება 25-26 დეკემბერს.

მალე შეხვედრამდე, ძვირფასო თანამემამულენო!

ა. ანთიძე,
თევზსაყინავ ტრაულერ „თბილისის“ კაპიტან-დირექტორის პირველი თანაშემწე.

ჯანმრთელობის სახალხო უნივერსიტეტი

ორამრირეში დაარსდა და ამ დღეებში მუშაობას დაიწყებს ჯანმრთელობის სახალხო უნივერსიტეტი. ერთი წლის განმავლობაში უნივერსიტეტის მსმენელები ზოგადად შეისწავლიან ადამიანის ორგანიზმის ფიზიოლოგიას, სხვადასხვა დაავადებებს და მათი მკურნალობის ძირითად საშუალებებს.

უნივერსიტეტში უკვე გაერთიანდა 50 მსმენელი.

მ. ჭოჭუა.

ეაღლაღი ოსტატობა, ფერთა სიუხვე

გვესტუმრა სახელმწიფო საესტრადო ორკესტრი ოლეგ ლუნდსტრემის ხელმძღვანელობით. ძველმა ნაცნობებმა ახალი პროგრამა ჩამოგვიტანეს.

სპორტის სასახლეში თავმოყრილი მაყურებლები დიდი ინტერესით ელოდნენ სცენაზე საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საუკეთესო ორკესტრის გამოჩენას.

ორკესტრს წმინდა და დახვეწილი ჟღერადობა აქვს. ძნელია რომელიმე ჯგუფის ცალკე გამოყოფა. ერთნაირი მაღალპროფესიული ოსტატობით ხასიათდება ტრომბონების, საყვირების, საქსოფონებისა და რიტმის ჯგუფები. ფერთა სიუხვემ, ჟღერადობის კომპაქტურობამ, მუსიკალურობამ, შესრულების მკაფიოდ გამოხატულმა თავისებურმა მანერამ ამ შესანიშნავ კოლექტივს საყოველთაო აღიარება და მოწონება მოუტანა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც.

ორკესტრმა შეასრულა კომპოზიტორ ვ. ბურადელის ფანტაზია „ნე დარდობ“, ესტონელი კომპოზიტორის უ. ნაისოს ნაწყვეტი საჯაზო სიუიტიდან „ცელქობა“ და ამერიკელ ზანგი კომპოზიტორის კაუნტ ბეისის პიესა „ყველაფერი ნათელია“. ორკესტრმა და მისმა სოლისტებმა ნ. კაპუსტინმა, რ. ანდრეევმა, ა. ავაქოვმა, კ. ბახოლდინმა მაყურებელთა მქუხარე ტაში დაიმსახურეს.

მეერის დ. რომაშოვი, „ძველია კონცერტში პირველ ნომრად გამოსვლა“. — ამბობენ საესტრადო მსახიობები, რადგან მაყურებლისათვის იგი თავისებურ „ჭაშნიკს“ წარმოადგენს, რომლის მეშვეობითაც თავშივე უნდა შეიგრძნო კონცერტის ხარისხი. მომღერალს სასიამოვნო ტემბრის ბარიტონი აქვს. იგი სცენაზე მოძრაობს სადად, ძალდაუტანებლად და, რაც მთავარია, ზომიერად.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მომღერალი რაისა ხემენოვა, რომელმაც შეასრულა კომპოზიტორ ვ. ხვოინიცკის „სიყვარულისთვის დარია მუდამ“, „ბურატინო“ და პოლონური სიმღერა „ოჭროს ბეჭედი“. მომღერალი შესანიშნავად ფლობს ვოკალურ ფრაზას, იგი ვიბრატოს ბრწყინვალე ოსტატია. ხმა აქვს წმინდა, უაღრესად ნაზი და თითქოს გამჭვირვალე. მომღერლის შინაგანი ბუნება თბილი და მოსიყვარულია, მას მხოლოდ უკეთესი, თავისი შესაძლებლობის შესაფერი რეპერტუარი სჭირდება, და მაშინ რ. ნემენოვა არა მარტო თავისი ორკესტრის, არამედ მთელი საბჭოთა ესტრადის მშვენებად იქცევა. მომღერლებს ა. ბალინიას, რომელსაც ობილისელები რიგის საესტრადო ორკესტრიდან იცნობენ, და ა. არსენიანს კარგი ვოკალური და სცენური მონაცემები აქვთ, მაგრამ უკეთესი იქნებოდა მათ რეპერტუარში საბჭოთა კომპოზიტორების მეტი სიმღერები ყოფილიყო.

მაყურებელმა ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვა მოცეკვავეები — ესტრადის მსახიობთა რესპუბლიკური კონკურსის ლაურეატები ვ. ხვოროსტოვი და ე. მეგიროვი და რუსპუბლიკის დამსახურებული არტისტი ვ. შუბარინი.

კონცერტი მსუბუქი იუმორით ოსტატურად მიჰყავს კონფერანსიე ბ. ალოვს.

საესტრადო ორკესტრმა ოლეგ ლუნდსტრემის ხელმძღვანელობით ამჯერადაც მოხიბლა თბილისელები.

ზ. რცხილაძე.

სურათებზე: ზემოთ — საესტრადო ორკესტრის მომღერლები (მარცხნიდან) დ. რომაშკოვი, ა. ბალინია, რ. ნემენოვა და ა. არსენიანი; ქვემოთ — უკრავს ორკესტრი, დირიჟორი ო. ლუნდსტრემი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

სოფელი სახეს იცვლის

ზესტაფონის რაიონში კვალითი საკმაოდ დიდი სოფელია. იქ 1300-მდე კომლი ცხოვრობს. მთელი სოფლის მოსახლეობა გაერთიანებულია ერთ კოლმეურნეობაში, რომელიც სერგო ორჯონიკიძის სახელს ატარებს. აქაური მშრომელები შეძლებულად ცხოვრობენ. სოფელს აშენებენს 2 და 3-სართულიანი სახლები, სასოფლო და საუბნო კეთილმოწყობილი გზები.

ბევრი რამ გაკეთდა და აშენდა ამ სოფელში. აქ არსებობს 1 საშუალო და 2 დაწყებითი სკოლა 700-ზე მეტი მოსწავლითი, ერთი სასოფლო კლუბი 300 მაყურებლისათვის. 2 ბიბლიოთეკა, ამბულატორია და სხვ.

ამას წინათ კვალითელმა მშრომელებმა ახალი საჩუქარი მიიღეს. რაიონის სახალხო განათლების განყოფილებამ გახსნა ახალი საბავშვო ბაღი 100 ბავშვისათვის, ხოლო კავშირგაბმულობის რაიკანტორამ — ფოსტის სააგენტო, რაიონის ცენტრალურმა შემნახველმა სალარომ — თავისი ფილიალი.

ივ. მარაქველიძე.

ბორჩის შემდეგ

მონტევიდეო, 6 დეკემბერი. (საკადესის კორ. ე. ელშოვი). ურუგვაის დედაქალაქის გაზეთები სავსეა ურუგვაისა და სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები. გუნდების მატჩის კომენტარებით. ღელვანდელი გაზეთები, რომლებიც აღნიშნავენ, შეხვედრის შედეგი ლოგიკური იყოო, გამოვიდა შემდეგი სათაურებით: „სსრ კავშირმა თვალნათლივ ცხადყო შემტევი ფეხბურთი“, „ურუგვაელებმა ვერ გაუძღვეს საბჭოთა ნაკრების ტემპს“, „მათ კვლავ მოგვიგეს“, „საბჭოთა გუნდის დიდი უპირატესობა“.

მატჩამდე ურუგვაიში ლაპარაკობდნენ და წერდნენ „საბჭოთა ფეხბურთის პრიმატიზეზმზე“. გაზეთი „ბიენ პუბლიკო კოლორი“ სავსებით უარყოფს ახლა ამ განცხადებას და წერს: „არა, ,ეს პრიმიტივი როდია. ეს არის სისადავე სიჩქარის ბაზაზე. ეს არის რაციონალური ფეხბურთი“.

ურუგვაის ნაკრები გუნდის მწვრთნელმა ხუან ლოპესმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა: „ყოველივე ვიღონეთ, რაც შეგვეძლო. ვცდილობდით მოედნის ბატონ-პატრონი გავმხდარიყავით, მაგრამ არაფერი გამოგვივდა. რუსების მხარეზე აღმოჩნდა მეტი ძალა, სიჩქარე, ურთიერთგაგება“.

სპორტული მიმმხილველები ხაზს უსვამენ სსრ კავშირის ნაკრები გუნდის ფეხბურთელთა თამაშის შემტევ ხასიათს. მათი ანგარიშით, ჩვენმა სპორტსმენებმა 26-ჯერ დაარტყეს კარში, ურუგვაელებმა — თითქმის ნახევარჯერ ნაკლები — 13-ჯერ. კომენტატორთა უმრავლესობა აღიარებს, რომ ამ მატჩში, განსაკუთრებით მეორე ნახევარში, საბჭოთა ფეხბურთელები მინდვრის სრული ბატონ-პატრონი იყვნენ. ხოლო გაზეთი „პაისი“, რომელიც არცთუ ისე მეგობრულად არის განწყობილი ჩვენი ქვეყნისადმი, წერს: „ისინი ჩვენს მოედანზე ისე დასეირნობდნენ, თითქოს შინ, წოილ მოედანზე ყოფილიყვნენ“.

ურუგვაის უდიდესი გაზეთი „დიარიო“ წერს: „ლოგიკური, სამართლიანი და უდავოა საბჭოთა ფეხბურთელების გამარჯვება. შესაძლოა მისი სადა კონცეფცია არ მოეწონოს ყველა ჩვენს გულშემატკივარს, რომლებიც რთულ არაბესკებს არიან შეჩვეულნი. მას შემდეგ, რაც ურუგვაისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების ბოლო მატჩი მოხდა, საეჭვოა ვინმე დაეჭვდეს მის ეფექტიანობაში“.

როგორც ყოველთვის, პრესის ფურცლებზე კვლავ გრძელდება ძველი დავა: რომელი ფეხბურთი სჯობს — ლათინურამერიკული თუ ევროპული? გაზეთი „პოპულარი“ ხატოვნად შენიშნავს: „დროა მივატოვოთ ძველი კარტა და ამ მატარებელში ჩავსხდეთ. უნდა ავითვისოთ გაკეთილი, დავიწყოთ ნამდვილი ფეხბურთის თამაში“. ამავე აზრს გაზეთი „მანიანა“ ასე გამოხატავს: „ კმარა ძველი დიდებით ცხოვრება. უნდა ვისწავლოთ ახლებურად თამაში“.

აი როგორ დაახასიათა ჩვენი მოთამაშეები პრესამ. „კავაზაშვილს კარგი რეაქცია აქვს. უფრო ცუდად იღებს მაღალ ბურთებს, უფრო სუსტად გრძნობს თავს კარს გარეთ. მაგრამ იგი საკრთოდ იაშინის კარგი შემცვლელია“. „ბურცილავა თავისი ზონის ბატონ-პატრონია. ბურთს შორს გზავნის, მაგრამ მაინცდამაინც არ ზრუნავს, საით წავა ბურთი“. „ჰუსაინოვი იმ შემადგენლობის საუკეთესო მოთამაშეა, რომლითაც სსრ კავშირის ნაკრები გუნდი თამაშობდა მონტევიდეოში. იგი მოედნის ბატონ-პატრონია“. „მეტრეველი ყოვბარაა, რომელმაც გაანერია ჩვენი თავდაცვა“. „ბანიშვილი თამაშობს საათში 200 კილომეტრი სიჩქარით, კარგად მოქმედებს ფლანგზე. იგი ერთ-ერთი იმათგანია, ვინც ყოველთვის როდი ურტყამს საკრო მიმართულებით“. „კოპაეი შორი გადაცემების სპეციალისტია“.

მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ მაღალ შეფასებას აძლევენ საბჭოთა ნაკრებს, ურუგვაელებს ყველაფერი როდი მოეწონათ ჩვენს გუნდში. ოჭინარეს ყოვლისა, აღნიშნავენ, რომ ჯერ კიდევ დაბალია ბურთის დამუშავების ტექნიკა. ზოგიერთს მოეჩვენა, რომ მოთამაშეები მინდორზე მეტისმეტად ზუსტად იმორჩილებენ წინასწარ შერჩეულ სისტემას. ბევრ ჩვენ ფეხბურთელს, მათი აზრით, აკლია გადამწყვეტი დარტყმის სიზუსტე.

ოპოზიციის არ თმობს

გუშინ ტალინში საკავშირო საქადრაკო ჩემპიონატზე გათამაშდა მე-9 ტური. ლიდერმა — პოლუგაევსკიმ კიდევ ერთი ქულა ჩაიწერა აქტივში, დაამარცხა ლეპიოშინი. კვლავ წარბორძია კორჩნოიმ, ზამკერად მან წააგო შტეინთან. ვასიუკოვმა მოუგო ბუხმანს. გუფელი და ტაიმანოვი ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

დიდი ქალაქგურეის სტარტი

გუშინ ნოვოსიბირსკში დაიწყო სსრ კავშირის XXIII ჩემპიონატი ქალთბურთში ქალთა გუნდებისათვის.

სტარტი სიურპრიზით აღინიშნა. გასული წლის ვერცხლის კრეზიორი თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი დამარცხდა მოსკოვის „დინამოსთან“ 54:61, „სიბირიაჩკამ“ მოუგო „ურალმაშს“ 42.40.

ოპალლოებული ფინიში

ქალთა საკავშირო საქადრაკო ჩემპიონატი ბელცში დასასრულს უახლოვდება. გასულ კვირადღეს გათამაშდა მე-13 ტური.

რანიკუ წარმატებით იბრძოდა კოლოტა ფინალიდგეგ და გაიმარჯვა. ასევე სატურნირო ცხრილში ერთი ქულა ჩაიწერა **ზეორიკინამ**. მან დაამარცხა ივანოვა. კაკაბაძე-მიხაილოვა და **ფოსლეგოვა-გოლოვე